PDF Eraser Free

*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის **დასკვნა** შპს საქართველოს საავიაციო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

| |
|---|
| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| თავმჯდომარე: **ეკატერინე გიგაშვილი** |
| წევრები: |
| სახელი, გვარი **ნიკა თიკანაშვილი** |
| სახელი, გვარი **ნათელა ჩაჩუა** |

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს საავიაციო აკადემია**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

*ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):*

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ გეგმიური

□ არაგეგმიური

**III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ**

*ივსება მხოლოდ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს:*

*სრული მონიტორინგის შემთხვევაში ივსება პროგრამებზე ცალ-ცალკე, კონკრეტული პროგრამის/პროგრამების მონიტორინგის შემთხვევაში ივსება კონკრეტულ პროგრამაზე/პროგრამებზე ცალ-ცალკე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

| | | | |
|---|---|---|---|
| საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1) | 30 | - | - |
| საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2) | 30 | - | - |

## IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისობა ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან მიმართებით განხორციელდა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის პირველი ოქტომბრის N 1011454 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ექპერტთა ჯგუფის მიერ(გეგმიური მონიტორინგი), რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ხარისხის უზრუნველყოფის ორი და დარგის ექსპერტი წარმომადგენელი. ვიზიტი განხორციელდა ადგილზე, 2020 წლის 11-12-13 ოქტომბერს(განათლების ექსპერტებმა ვიზიტი განახორციელეს 11, 12 და 13 ოქტომბერს, ხოლო დარგის ექსპერტმა 13 ოქტომბერს) და გადამოწმდა ადგილზე როგორც მატერიალური ასევე პროგრამული რესურსი და ყველა ის მექანიზმი და სამართლებრივი აქტი, რომლითაც დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება არ **ახორციელებს პროგრამებს,** შესაბამისად მოქმედი სტუდენტების არ არსებობის გამო სასწავლო პროცესი არ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ექსპერტების მიერ ზოგიერთი კომპონენტში დაწესებულების ნორმატიულ აქტებში გაწერილი მექანიზმების შესრულება და განხორციელება და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ვერ **იქნა შეფასებული**;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა პროცესი, თუმცა, დღის წესრიგით დაგეგმილი იყო სტუდენტებთან გასაუბრება, რაც არ შედგა მათი არ არსებობის გამო. ექპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობის მატერიალური და ტექნიკური მზაობა, ასევე შეისწავლეს პროგრამები, ჩატარდა ინტერვიუირება ადმინისტრაციასთან, პროფესიულ მასწავლებელთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, ბიბლიოთეკართან. ექსპერტების მიერ, დამატებითი ინფორმაციის შესწავლის მიზნით, შესწავლილი იქნა დაწესებულებიდან გამოთხოვილი სხვადასხვა საჭირო დოკუმენტაცია.

***შენიშვნა.*** *ექსპერტთა დასკვნის პროექტის საპასუხოდ,* ***დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გათვალისწინებული****, შესაბამისობის დოკუმენტი რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა, არ მოიცავს ინფორმაციას დასკვნაში წარმოდგენილი ხარვეზების გამოსწორების კონკრეტული ვადების, პასუხისმგებელი პირების, განხორციელების რესურსის ინდიკატორების შესახებ.*

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 1.1) პსდ-ს მისია | - | შეესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | - | შეესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | - | შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | - | |
| **4) ადამიანური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | - | შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | - | |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

| | | |
|---|---|---|
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | - | არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | - | არ შეესაბამება |
| 5.3) ფინანსური რესურსები | - | არ შეესაბამება |

*შენიშვნა: გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებაში არ ამ დრომდე არ განხორციელებულა სასწავლო პროცესი, ექსპერტების მიერ 3.2 და 4.2 კომპონენტები ვერ შეფასდა.*

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები მათი დასკვნის შესაბამისად ეხებოდა როგორც პროგრამულ ნაწილს, ასევე ადამიანურ და მატერიალურ რესურსს. ექპერტთა დასკვნა რიგი ქვესტანდარტების შემთხვევებში იყო შეფასებული როგორც არადამაკმაყოფილებელი. ავტორიზაციის ექპერტთა მიერ დაწესებულების შეფასება ამ ეტაპზე ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა, რომელიც ინდიკატორებისა და კომპონენტების შესაბამისად განსხვავებულ მოთხოვნებს და მიდგომებს აწესებს.

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

***ხარვეზები და რეკომენდაციები საერთოა ორივე პროგრამასთან მიმართებით:*** *საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2); საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1)*

**ინდიკატორი 2.1.1.(4.)** საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 2.2.1.(1.)** პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 2.2.1.(2.)** პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 2.2.1.(3**) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს არ უდასტურდებათ ინგლისური ენის კომპეტენცია (პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე); (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 2.2.1.(5).** საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (უახლესი გამოცემები) არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული და მატერიალური სახით; (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 5.1.1.4.** ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნით დაწესებულების შენობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობით მიუხედავად იმისა რომ დაწესებულებას აქვს დენის რადიატორები და ელექტროენერგიის გადახდის ქვითრებიც. (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 5.1.2.4.** დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე ვერ უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 5.2.2.2**. დაწესებულების მიერ არ ხორციელდება ელექტრონული საქმის წარმოება და ექსპერტების მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ხარვეზი. (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

**ინდიკატორი** 5.3.1.(1.2.3.4.) ყოველწლიური ფინანსური ანგარიშისა და შედეგების საფუძველზე საკუთარი მდგრადობის ობიექტური შეფასება და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა, მათ განხორციელებაზე სათანადო რეაგირების ინდიკატორი შეფასდა როგორც ხარვეზი(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**განმავითარებელი რეკომენდაციები:**

**ინდიკატორი** 1.2.1.3.დაწესებულებამ დასახული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე დაისახოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხოლო თუ სტრატეგიული მიზნები აღარ არის მათთვის რეალური, მოხდეს სტრატეგიული გეგმის გადახედვა.(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი** 1.2.2.1. დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწერილი პროცედურის მიხედვით განახორციელოს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, ან შესაბამისობაში მოიყვანოს შიდა მარეგულირებელ აქტში ასახული ქმედებები რეალურად განხორციელებულ აქტივობებთან.(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 2.1.1.(1).** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასახული იყოს ადგილობრივ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა ან/და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები. (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 2.1.1.(3).** კონტიგენტის განსზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს თუ რა რაოდენობის, მატერიალური ტექნიკური რესურსი, ლაბორატორიული ბაზა, სასწავლო ლიტერატურა და საჰაერო ხომალდია საჭირო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით. (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი 2.3.1.(2).** პროგრამასა და მოდულებში აისახოს დაწესებულების დასახელების ცვლილებით გამოწვეული საკითხები (იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ.თოიძე ----------------------------

----------------------------

----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**ინდიკატორი** 3.1.1.1. დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს ფორმალური განათლების აღიარების წესი და პირობები.(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი** 3.1.1.4. შიდა მარეგულერებელ აქტში გაჩნდეს ჩანაწერი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების მომზადებასა და გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი** 3.1.1.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში გაჩნდეს ჩანაწერი ამ ფუნქციის შესახებ.(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი** 3.2.1.1. დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს კონკრეტულად, რომელი საკომუნიკაციო საშუალებით მოახდენენ სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების გაცნობას.(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი** 3.2.1.2. გაცნობითი კვირის მოწყობაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში გაჩნდეს ჩანაწერი აღნიშნული ფუნქციის შესახებ.(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი** 3.2.1.3. შიდა მარეგულირებელ აქტში გაიწეროს სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის შესახებ დეტალური ინფორმაცია, რათა პროცესი იყოს უფრო ნათელი და გასაგები დაინტერესებული პირისათვის.(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი** 3.2.2.1. შიდა მარეგულირებელ აქტში გაიწეროს თუ რა მექანიზმებით გაუწევს აკადემია კარიერულ მხარდაჭერას არსებულ სტუდენტებს.(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი** 5.1.1.11 ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში გაკეთდეს სასწავლო მასალის მომხმარებასთან დაკავშირებით მკაფიო ჩანაწერი;(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

**ინდიკატორი** 5.2.3.4. კატალოგი არის ფორმალური დოკუმენტი, რომელიც არ მტკიცდება, კატალოგში დაინტერესებული პირებისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდეს, როგორიცაა პროგრამის საფასური, დაწესებულების ისტორია, ძირითადი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

ფასეულობები და ღირებულებები. ასევე მნიშვნელოვანი პარტნიორი ორგანიზაციების ან პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები.(იხ.ინდიკატორის აღწერითი ნაწილი).

## XI. სტანდარტების შეფასება

### 1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1.1.2. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

1.1.3.მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

1.1.4.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.1.1.1 დაწესებულების მისია პასუხობს პროფესიული განათლების მიზნებს, რადგან მისიაში კარგად ჩანს, რომ შრომის ბაზარზე ორიენტირებული და კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება არის დაწესებულების დასახული მთავარი მიზანი. მისია ნამდვილად პასუხობს შეკითხვებზე თუ ვინ არიან და რისთვის არსებობს მათი ორგანიზაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

**1.1.1.2**.კოლეჯის მისიით განსაზღვრულია საქმიანობის ძირითადი მიმართულება, რომელიც განასხვავებს მათ სხვა დაწესებულებისგან. კოლეჯი ახორციელებს საავიაციო მიმართულებით ორ პროგრამას და ეს მკაფიოდ ჩანს მისიაში. ავიაკომპანიებისა და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციების შესაბამისი მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით უზრუნველყოფის მისიაში დასახვით ჩანს, კოლეჯის როლი განათლების სისტემაში.

**1.1.1.3**. კოლეჯის მისიიდან გამომდინარეობს მისი ხედვა და ღირებულებები. მისიასა და ხედვაში მოცემულია ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება, სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვა, რომელთა მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის ღირებულებებზე დაყრდნობით. დაწესებულების მისიაში ხაზგასმით არის ნახსენები ევროპული სტანდარტებისა და შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, ამის მიღწევას დაწესებულება აპირებს ევროპული სტანდარტების შესაბამისი სასწავლებლის ჩამოყალიბებით.

**1.1.1.4.** კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე, კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ დაადასტურა, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კოლეჯის როლი განათლების სისტემაში, იცნობენ და იზიარებენ დაწესებულების მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტში, გაწერილია როგორ ხდება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება და შემდეგ გაზიარება. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა და ის რაც გაწერილი იყო შიდა მარეგულირებელ აქტში მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ნამდვილად შესრულდა. დაინტერესებულ პირებთან გაზიარების ფაქტი მტკიცდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერითა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვებგვერდზე განთავსებული მისიით, ხედვით და ღირებულებებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯის ვებ-გვერდით;
- მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულები;
- ჩართულ მხარეებთან, დაინტერესებულ პირებთან. გაგზავნილი მეილები
- განხილვის, შეხვედრის დამადასტურებელი ფოტო მასალით;
- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით.

**შეფასება:**

**☒ შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1.პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

__1.2.1.1.__ კოლეჯში არსებობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. არსებობს სტრატეგიული დაგეგმარებისა, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიაში დეტალურად არის გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, გაზიარებისა და ცვლილების პროცედურა. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებაში ვიზიტისას მოითხოვა მეთოდოლოგიაში გაწერილი პროცედურების მტკიცებულებები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მხრიდან.

__1.2.1.2.__ კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული გეგმის შემუშავების, გაზიარების მექანიზმები და ეს ნამდვილად თანამონაწილეობითი პროცესია. ექსპერტთა ჯგუფმა, ინტერვიუსას, დამატებით მოითხოვა მტკიცებულებები, კერძოდ, შეხვედრის ოქმები, დოკუმენტების შუალედური ვერსიები, მიმოწერა, რომელიც ემსახურებოდა სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესს. დაწესებულებამ წარმოადგინა მიმოწერის ამსახველი მტკიცებულებები, განხილვის ფოტო მასალები და შეხვედრის ოქმები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვებ. გვერდზე დაწესებულებას განთავსებული აქვს სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი, რომლის დასახელებაში იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა. ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ აღმოფხვრა აღნიშნული პრობლემა.

__1.2.1.3.__ კოლეჯის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია კოლეჯის მისიასთან თავსებადი მიზნები, მისი შესაბამისი ამოცანები, მათი განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებაში არსებობს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს 2021 სასწავლო წლის პერიოდში დაწესებულების ამოცანებს, აქტივობებს, ინდიკატორებს, შესრულების ვადებს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, საჭირო რესურსებს.

2021 წლის სამოქმედო გეგმა არ არის სრულად თანხვედრაში სტრატეგიულ მიზნებთან, რადგან მასში სტრატეგიული გეგმის ცვლილების გარეშე დამატებულია ერთი ახალი სტრატეგიული მიზანი და ამოღებულია მეორე - მატერიალურ-ტექნიკური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბაზის/რესურსების განვითარება. ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა, რომ ისინი აუცილებლად მოიყვანდნენ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნებს თანხვედრაში.

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი **რეკომენდაცია,** რომ დაწესებულებამ დასახული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე დაისახოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხოლო თუ სტრატეგიული მიზნები აღარ არის მათთვის რეალური, მოხდეს სტრატეგიული გეგმის გადახედვა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულებები, შეხვედრის ოქმები და მიმოწერის ამსახველი მტკიცებულებები, განხილვის ფოტო მასალებით;
- 2020 წლის სამოქმედო გეგმის ცვლილების ბრძანებით;
- 2020-2021 წლის უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმებით;
- 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით;
- დაინტერესებულ მხარეებთა ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.2.2.1. კოლეჯი ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, არსებობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, სადაც გაწერილია მონიტორინგის პერიოდულობა და მასზე პასუხისმგებელი პირები. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ევალება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნისას დამტკიცებულ სამუშაო გუნდს/კომისიას. მონიტორინგის პერიოდულობა სამოქმედო გეგმის შემთხვევაში გახლავთ წელიწადში ორჯერ, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებიდან გამომდინარე მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ.
დაწესებულებას შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ორი შეფასება უნდა გაეკეთებინა, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ 2020 წლის სამოქმედო გეგმა სრულად ერთწლიანი არ იყო და მოუწიათ გეგმის შეცვლა 2020 წლის მარტში, ინტერვიუსას დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 6 თვეში შეფასებამ აზრი დაკარგა. ამას დაემატა ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ დაწესებულებას სტუდენტები რეალურად არ ჰყავდა და არ განუხორციელებია სასწავლო პროცესი. მიუხედავად ამისა წლის ბოლოს, 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე, 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში გაკეთებულია და განთავსებულია ვებ გვერდზე გამომდინარე აქედან, რადგან დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტში მონიტორინგის პერიოდულობა გახლავთ წელიწადში ორჯერ და დაწესებულებამ აღნიშნული ვერ შეასრულა 2020 წელს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი **რეკომენდაცია**, რომ დაწესებულებამ შიდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მარეგულირებელ აქტში გაწერილი პროცედურის მიხედვით განახორციელოს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, ან შესაბამისობაში მოიყვანოს შიდა მარეგულირებელ აქტში ასახული ქმედებები რეალურად განხორციელებულ აქტივობებთან.

1.2.2.2. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. დაწესებულებამ წარმოადგინა შეცვლილი სამოქმედო გეგმა, რომელიც გადაიხედა 2020 წელს და პანდემიის გამო ზოგიერთი შეუსრულებელი აქტივობა გაიწერა 2021 წლის სამოქმედო გეგმაში.

1.2.2.3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია. კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ 2019 და 2020 წლის ანგარიში განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი ანგარიშებით.
- სამოქმედო გეგმის ცვლილების და დამტკიცების ბრძანებით.
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგებით.

**შეფასება:**

**☒ შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. თოდუა ჩქ... -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

4.პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

3.1.1. კოლეჯის შიდა ნორმატიული აქტებით და ხელშეკრულების ნიმუშით უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა. სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის საკითხები, შიდა და გარე მობილობის პროცედურები, მაგრამ შიდა მარეგულირებელ აქტებში არ არის გათვალისწინებული ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმის წესი და პირობები. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, მარეგულირებელ აქტში გაიწეროს ფორმალური აღიარების წესი და პირობები.

3.1.1.2. პროფესიული სტუდენტები თავიანთ უფლებებს ეცნობიან ღია კარის დღეზე, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩანაწერი არსებობს სტუდენტების ხელშეკრულების ნიმუშში. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუსას ისაუბრეს, რომ სტუდენტების არსებობის შემთხვევაში მოაწყობენ ღია კარის დღეს და გააცნობენ მათ უფლებებსა და ყველა საჭირო რეგულაციას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**3.1.1.3.** პროფესიული სტუდენტები შეფასების სისტემის და საჭიროების შემთხვევაში შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ ღია კარის დღეზე, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩანაწერი არსებობს სტუდენტების ხელშეკრულების ნიმუშში. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურას, აღნიშნული საკითხი დეტალურად არის გაწერილი სასწავლო პროცესის მართვის წესში.

**3.1.1.4**. პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუშში დაცულია სტუდენტის უფლებები და ინტერესები. სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილია ხელშეკრულების გაფორმების შესახებ ინფორმაცია როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში. ერთადერთი საკითხი რამაც გამოიწვია განხილვა დაწესებულებასთან ინტერვიუს პროცესში იყო ის, თუ ვის ევალება ხელშეკრულების გაფორმება. ამის შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული შიდა მარეგულირებელ აქტებში. რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობაში გაწერილია, რომ ის ამზადებს ხელშეკრულებას, თუმცა არ ჩანს არის თუ არა აღნიშნული პიროვნება პასუხისმგებელი ხელშეკრულების გაფორმებაზეც. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა, რომ ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ გაიწერება ინფორმაცია შიდა მარეგულირებელ აქტში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა განმავითარებელი **რეკომენდაცია,** შიდა მარეგულირებელ აქტში გაჩნდეს ჩანაწერი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების მომზადებასა და გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

**3.1.1.5.** სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს მექანიზმი შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. თუმცა, წესის მიხედვით, პროცესზე პასუხისმგებელი პირის, სწავლების მენეჯერისა და ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობაში არ არის გაწერილი ეს ფუნქცია. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში გაჩნდეს ჩანაწერი ამ ფუნქციის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მართვის წესი (გაწერილია ინდ. გეგმის პროცედურა)
- პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში.
- დაწესებულების წარმომდგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

**☒ შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.**

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**3.2.1.1.** სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილია, რომ სტუდენტებს შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას აწვდის გამოცდების მენეჯერი, თუმცა, კონკრეტულად რა საშუალებით მოხდება მიწოდება განსაზღვრული არ არის. ინტერვიუსას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები მიიღებენ სიტყვიერი, ზეპირი კომუნიკაციით. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ წესში გაწერონ, კონკრეტულად რომელი საკომუნიკაციო საშუალებით მოახდენენ სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების გაცნობას.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯში სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით არსებობს მიმოხილვითი კურსი. იმ სტუდენტებს, რომელთაც ესაჭიროებათ განმეორებით გამოცდაზე გასვლა, გამოცდამდე მათ ენიშნებათ მიმოხილვითი კურსი. აღნიშნული მექანიზმით დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერას აკადემიური მოსწრების გაუმჯოებესების მიზნით.

**3.2.1.2.** პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუშში გაწერილია, რომ აკადემია სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოფს გაცნობითი კვირის მოწყობას, რაც გულისხმობს სტუდენტის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. თუმცა, აღნიშნული გაცნობითი კვირის მოწყობა ვისი ფუნქცია-მოვალეობაა განსაზღვრული არ არის.

ინტერვიუს პროცესში რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტმა აღნიშნა, რომ გაცნობითი კვირის მოწყობა სწავლების მენეჯერის ფუნქციებში შედის, მაგრამ აღნიშნული მის სამუშაო აღწერილობაში გაწერილი არ არის. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებას მისცა განმავითარებელი **რეკომენდაცია,** გაცნობითი კვირის მოწყობაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში გაჩნდეს ჩანაწერი აღნიშნული ფუნქციის შესახებ.

**3.2.1.3**.სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუშში არსებობს ჩანაწერი, რომ აკადემია ვალდებულია სტუდენტის სახელზე გასცეს ცნობა. ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირი არის რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტი, რომლის სამუშაო აღწერილობაში ნათლად ჩანს აღნიშნული ფუნქცია.

გარდა სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუშისა, სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში არ გვხვდება დეტალური აღწერა თუ როგორ ხდება სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა განმავითარებელი რეკომენდაცია, შიდა მარეგულირებელ აქტში გაწერონ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის შესახებ დეტალური ინფორმაცია, რათა პროცესი იყოს უფრო ნათელი და გასაგები დაინტერესებული პირისათვის.

**3.2.1.4.** პროფესიულ სტუდენტთა არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია გაწერილია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში. ინტერვიუ აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელ პირთან ვერ განხორციელდა, მაგრამ არსებული მექანიზმების შესახებ ისაუბრა დაწესებულების დირექტორმა. გამომდინარე იქედან რომ ამ ეტაპისათვის დაწესებულებში სასწავლო პროცესი ამ დრომდე არ განხორციელებულა, დაწესებულებამ ჩატარებული აქტივობების შესახებ მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **ვერ შეფასდა.**

**3.2.1.5**. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მოხდება სტუდენტთა გამოკითხვა. ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა არსებული კითხვარები, რომლებიც მოიცავს კითხვებს სასწავლო პროცესის, სასწავლო რესურსისა და გარემოს შეფასების შესახებ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- სტუდენტთა კვლევის კითხვარებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
- შინაგანაწესით;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. 2.პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.**

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს;

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**3.2.2.1.** საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში გაწერილია, რომ კოლეჯის წარმომადგენლები პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, აწყობენ სკოლებში ვიზიტს და მომავალ პოტენციურ სტუდენტებს აცნობენ პსდ-ის შეთავაზებულ სერვისებს, პარტნიორებს და სფეროს სადაც მათ შეეძლებათ დასაქმება. გამომდინარე იქედან, რომ კოლეჯს აქტიური სტუდენტი არ ჰყავს არსებული მექანიზმი საკმარისია 3.2.2.1 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად, თუმცა, ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა, რომ კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები გაიწერება შიდა მარეგულირებელ აქტში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ შიდა მარეგულირებელ აქტში გაიწეროს თუ რა მექანიზმებით გაუწევს აკადემია კარიერულ მხარდაჭერას არსებულ სტუდენტებს.

**3.2.2.2.** რადგან დაწესებულებას ამ ეტაპისათვის არ ჰყავს აქტიური პროფესიული სტუდენტები 3.2.2.2.ინდიკატორის შემოწმება ვერ მოხერხდა. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს პროცესში გამოხატეს სრული მზაობა, რომ მათ ექნებათ აქტიური კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან დასაქმების შესაძლებლობისა და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

**3.2.2.3.** კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში და დაწესებულებამ წარმოადგინა კვლევის ინსტრუმენტი/კითხვარი. ასევე, აღნიშნულ კვლევის მეთოდოლოგიაზე ისაუბრა ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიუს პროცესში.

**3.2.2.4.** აღნიშნული ინდიკატორის შესრულება **ვერ შეფასდა** ექსპერტების მხრიდან. რადგან დაწესებულებაში ამ დრომდე არ განხორციელებულა სასწავლო პროცესი, შესაბამისად კვლევაც ვერ განხორციელდა. თუმცა, დაწესებულებას დეტალურად აქვს გაწერილი კვლევის მეთოდოლოგია, რომელსაც განახორციელებს სტუდენტების არსებობის შემთხვევაში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შინაგანაწესით.
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით.
- კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☐შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.**

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

<u>**4.1.1.1**</u>. დაწესებულების სტრუქტურა განთავსებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. სტრუქტურა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება № 13/ 28.05.2020-ით. სტრუქტურული ერთეულები ფორმირებულია თანამდებობრივი დასახელების სახით და არ ითვალისწინებს სტრუქტურული ერთეულების დასახელებას. სტრუქტურა არის ვერტიკალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

იერარქიული და იერარქიის გათვალისწინებით გვთავაზობს მაგალითად შემდეგ დასახელებებს: რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტი, სწავლების და გამოცდების მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თეორიული გამომცდელი და ა.შ. დაწესებულების მიერ შემუშავებულია ყოველი პოზიციისთვის სამუშაო აღწერის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ზოგადი ნაწილი, პოზიცია ორგანიზაციულ იერარქიაში, თანამდებობის მიზანი, ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კომპეტენციები. აღსანიშნავია, რომ კოვიდსიტუაციიდან და სასწავლო პროცესის არ არსებობიდან გამომდინარე ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მინიმალისტური ადმინისტრაცია ფუნქციონირებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ამ სიტუაციიდან გამომდინარე აქვს შეთავსებული სხვადასხვა საქმიანობები, მაგალითად, რეესტრისა და საქმისწარმოების მენეჯერი ერთდროულად ახორციელებს რეესტრს, საქმისწარმოებაზეა პასუხისმგებელი და ამავე დროს შეთავსებული აქვს უსაფრთხოების კონტროლი დაწესებულებაში.

**4.1.1.2**. ექსპერტთა ვიზიტის დროს, მოქმედი სტრუქტურიდან რამდენიმე ადმინისტრაციული პერსონალი ითავსებს კოლეჯის ფუნქციონირებისთვის საჭირო საქმიანობებს შესაბამისად, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება კოლეჯის საქმიანობას ამ ეტაპზე უზრუნველყოფს, თუმცა გადანაწილებული პასუხისმგებლობები და საქმიანობები დოკუმენტურად ასახული არ არის. დაწესებულების 2021 წლის სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები ძირითადად არიან დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სწავლების /გამოცდების მენეჯერი, რომლებიც რეალურადაც არიან კოლეჯის საქმიანობაში ჩართული. სამოქმედო გეგმაში აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობებითა და მოვალეობებითაც დგინდება მათი პასუხისმგებლობა საქმიანობებზე.

**4.1.1.3**. საქართველოს საავიაციო აკადემიის მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების ბრძანება რომელიც მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ციკლის, ხარისხის შიდა მექანიზმების, მიზნებისა და ამოცანების, კვლევის მეთოდოლოგიის, შეფასების ანალიზისა და პერიოდულობის შესახებ, ასევე დანართების ჩამონათვალს. დოკუმენტში ზოგადად არის აღწერილი ის მექანიზმები, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფა შიდა დონეზე; ხარისხის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერ რეგულაციაში და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში არ იკვეთება შესაბამისი პირის ფუნქციების ინტერსთა კონფლიქტი;

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დირექტორის 2020 წლის 23 აგვისტოს №27 ბრძანებით შპს საქართველოს საავიაციო აკადემიის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუირებით ხარისხის მართვის მენეჯერთან;
- დირექტორის ბრძანებით №29/11/11/2020 საქართველოს საავიაციო აკადემიის ლოგოს დამტკიცების, ბეჭდის, ბიბლიოთეკის შტამპისა და ფაქსიმილიას დამზადების შესახებ.
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობით;

**4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.**

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**4.1.2.1**.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელსაც იყენებს მართვის პროცესებში დაწესებულების დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება პერსონალის ხელმოწერით შინაგანაწესის და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ პერსონალის ინფორმირებულობა. მართვის დოკუმენტში არის ისეთი საკითხები დუბლირებული, როგორიც არის შინაგანაწესშიც, თუმცა ეს ორი დოკუმენტი თავის ჩანაწერებით არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. **ექსპერტთა რეკომენდაცია:** შინაგანაწესსა და პერსონალის მართვის დოკუმენტებში უმჯობესია გაიმიჯნოს საკითხები. შრომის კოდექსთან და პერსონალის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები უმჯობესია განთავსდეს შინაგანაწესში, ხოლო პერსონალის და. მ.შ. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მართვასთან დაკავშირებული პროცედურები უმჯობესია თავმოყრილი იყოს პერსონალის მართვის დოკუმენტში.

**4.1.2.2**.პერსონალის შერჩევა ხორციელდება დირექტორის მიერ, საგანამანათლებლო პროგრამისთვის მასწავლებლების შერჩევა ეფუძნება საავიაციო სტანდარტებს და გაწერილია ის კომპეტენციები, რომელიც დაწესებულების მოთხოვნას წარმოადგენს. პერსონალის და მ.შ. პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება მოთხოვნების გათვალისწინებით. შინაგანაწესში განსაზღვრულია ასევე პირად საქმეში პერსონალის მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რაც გადამოწმდა ექსპერტების მიერ. სტრუქტურული ერთეულით განსაზღვრული ყველა პოზიციისთვის დაწესებულების მიერ შემუშავებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები; პერსონალის სამსახურში მიღების პროცესის ამსახველი მტკიცებულებებიდან პირად საქმეებში არის სამსახურში მიღების ან და სხვა პოზიციაზე გადასვლასთან დაკავშირებული პირადი განცხადება/ები, კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაცია. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებს შრომის კოდექსის არსებით პირობებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**4.1.2.3**.წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით გადამოწმდა ექსპერტების მიერ პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პერსონალის და მ.შ. მასწავლებელთა შერჩევისას გათვალისწინებულია როგორც დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე საავიაციო სტანდარტით და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები.

**4.1.2.4**.დაწესებულებაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულების მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშის ასევე სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტზე გუნდური მუშაობის მამტკიცებელი შეხვედრების და მიმოწერის ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებაში მხოლოდ ადმინისტრაციის ხუთი მოქმედი ხელშეკრულების მქონე თანამშრომელი დაგვხვდა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით;
- შინაგანაწესით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებითა და სამუშაო აღწერილობებით;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პერსონალთან დადებული კონტრაქტებით;
- ინტერვიურიებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.**

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**4.2.1.1**.პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის მექანიზმი დაწესებულებას გაწერილი აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესსა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში. რაც შეეხება ამ მექანიზმების შესრულების მტკიცებულებებს, ექსპერტების მიერ **ვერ შეფასდა,** რადგან დაწესებულებაში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პერსონალის საქმიანობის შეფასება არ განუხორციელებია პსდ-ს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**4.2.1.2**.პერსონალის განვითარების საჭიროებების კვლევის მექანიზმი შემუშავებული აქვს, ასევე საჭიროების კვლევის ჩატარების მიზნით დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა კვლევის კითხვარები, თუმცა, მექანიზმის გამოყენებით როგორ ხორციელდება პერსონალის განვითარება, ექსპერტების მიერ **ვერ შეფასდა** სასწავლო პროცესის არ არსებობის გამო.

**4.2.1.3.** დაწესებულების პროფესიული მასწავლებლები ძირითადად არიან საავიაციო მიმართულებთ გამოცდილების მქონე პირები, რომელთა პროფესიული მომზადება და გადამზადება, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება საავიაციო სტანდარტების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება;

**4.2.1.4**.დაწესებულებაში ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცესი სამუშაო გარემოსთან, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-14 მუხლით რეგულირდება. ინტეგრაციის პროცესში, კანდიდატის შერჩევის შემდეგ მნიშვნელოვანია, ახალი თანამშრომლის ადაპტაცია ახალ კოლექტივთან. აკადემია ზრუნავს და ეხმარება ახალ წევრებს ორგანიზაციულ კულტურასთან შეგუებაში. ახალი თანამშრომლის ორგანიზაციულ კულტურასთან სწრაფი შეგუებისთვის აკადემია აწვდის ინფორმაციას ორგანიზაციული კულტურისა და მთავარი ღირებულებების შესახებ. რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტი ახალდანიშნულ თანამშრომელს გააცნობს აკადემიის მიზნებს, ღირებულებებს, შინაგანაწესსა და სხვა მოქმედ პროცედურებსა და წესებს; უშუალო ხელმძღვანელი ახალ თანამშრომელს განუმარტავს, თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო, რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში.

**4.2.1.5**.პერსონალის მართვის პოლიტიკის მე- 17 მუხლის შესაბამისად დაწესებულებას გააჩნია პერსონალის გადამზადების, განვითარებისა და შეფასების შედეგებზე წახალისების მექანიზმი. ამავე დოკუმენტში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების იდენტიფიცირების და მათი საქმიანობის შეფასების შედეგად წახალისების მექანიზმებზე ჩანაწერები პროცესის აღწერას მოითხოვს, აქედან გამომდინარე **ექსპერტთა რეკომენდაციაა:** რეგულაციებში დაკონკრეტდეს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების იდენტიფიცირების მექანიზმი, რომელიც პერსონალის განვითარებასთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაკავშირებული საჭიროებების და წინასწარ გაწერილი შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე მოაგროვებს ინიციატივების ამსახველი დოკუმენტაციას მტკიცებულებების სახით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით;
- დირექტორის ბრძანებით წახალისების/პრემიის გაცემის შესახებ;
- პერსონალთან გასაუბრებით;

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>**5.1.1.1**</u>. შპს საქართველოს საავიაციო აკადემია წარმოადგენს შპს „კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის“ სამართალმემკვიდრეს. კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის შექმნილია 2016 წელს, წესდების საფუძველზე. ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება ნოტარიულად, იჯარის ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმებულია მეიჯარეს, სს „თამ“თბილავიამშენის წარმომადგენელს, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის შალვა მანძულაშვილსა ( მინდობილობა გაცემულია 2020 წლის8 სექტემბერს №787/801) და შპს „კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის“ წარმომადგენლის მის დირექტორს მოიჯარე შორის. მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების მიხედვით, რომ ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, №191 გ, (საკადასტრო კოდით №01.19.35.007.082.01.506) რეგისტრირებული ფართიდან 21,85 კვმ დაა 31,56 კვმ. ასევე უძრავი ქონებიდან 144,79 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდით №01.19.35.007.082.01.504), ხელშეკრულებაში მითითებული პირობით, მეიჯარისგან მოიჯარეს გადაეცეს ყოველთვიური ქირის, დღგ-ს ჩათვლით . ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულებამ წარმოადგინა 2020 წლის ნოემბერის 1770 ლარი და შემდეგ უკვე 2021 წლის თებერვლიდან მიმდინარე წლის ოქტომბრის ჩათვლით. იჯარის გენერალურ ხელშეკრულებასთან ერთად, 2020 წლის 8 სექტემბერს წარმოდგენილია დამატებით გაფორმებული :

- შეთანხმება 1-კომუნალური გადასახადების ( წყლის, ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის, ტელეფონის და ინტერნეტის) და კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარჯების გადახდის ვალდებულების შესახებ, იჯარის ვადის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ იჯარის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტით განსაზღვრულია იჯარის ვადად ერთი წელი, ხოლო 4. 3. პუნქტის მიხედვით იჯარის ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გრძელდება თუ მხარეთა მიერ არ არის წერილობითი მოთხოვნა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- შეთანხმება 2 - დაწესებულების დირექტორთან გასაუბრების შედეგად, კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალის მიერ სველი წერტილების მოხმარებასთან დაკავშირებით, რომელიც არ მდებარეობს კოლეჯის მიერ იჯარით აღებულ ტერიტორიაზე, წარმოდგენილი იქნა 2021 წლის 12 ოქტომბრის შეთანხმება 2, რომლის მიხედვითაც მეიჯარე მოიჯარეს, იჯარის ვადით აძლევს ანგარის ტერიტორიაზე არსებული სველი წერტილების გამოყენების შესაძლებლობას იჯარის მოქმედების ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილია მოძრავი ქონების, მ.შ. დგამავეჯისა და კომპიუტერული ტექნიკის, ასევე სასწავლო რესურსის ფლობის დოკუმენტაცია, რომელიც გადმოცემული აქვს თბილავიამშენისგან მოხმარებისთვის. დამატებით ასევე წარმოდგენილია ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაციაც.

<u>5.1.1.2.</u> ექპერტთა მიერ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართის დათვალიერების, აზომვითი ნახაზების შესწავლისა და დირექტორის განმარტებით, დაქირავებული ფართის პირველ სართულზე განთავსებულია სტუდენტთათვის ორი სასწავლო აუდიტორია, მ.შ. თეორიული მეცადინეობისთვის და კომპიუტერული კლასი, რომლებიც დირექტორის განმარტებით გაყოფილია მოძრავი კედლით და საჭიროებიდან გამომდინარე იძლევა სასწავლო ფართის გამთლიანების შესაძლებლობას. პირველ სართულზე, ასევე დერეფანში არის თვალსაჩინო ადგილას კედელის სტენდზე სასწავლო მაკეტები; ერთი ოთახი, რომელიც ამ ეტაპზე ხარისხის და სწავლებისა და გამოცდების მენეჯერის სამუშაო სივრცეს წარმოადგენს. ნაქირავები ფართის პირველ სართულზეა ასევე ბიბლიოთეკა, ერთ სივრცეშია განთავსებული სამკითხველო მიზნებისთვის მერხები და თაროები. შენობის მეორე სართულზე არის საქმისწარმოების სპეციალისტის ოთახი, რომელშიც ასევე განთავსებულია სამედიცინო დახმარების საშუალებები და მცირედი, სამზარეულო დანიშნულების კუთხე სველი წერტილით. ამავე სართულზე არის დირექტორის სამუშაო ოთახი, ასევე მასწავლებლების მოსასვენებელი ოთახი, რომელშიც განთავსებულია არქივის სპეციალური რკინის კარადა. დაწესებულებას გაწერილი აქვს ზოგადი რეგულაცია , რომელიც უზრუნველყოფს სივრცეების ფლობის და მ.შ. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობას.

<u>5.1.1.3.</u> დაწესებულების მიერ იჯარით არსებულ მთელ ფართში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რომელზეც გამოყოფილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი. ხელშეკრულების მიხედვით თამ მენეჯმენტი უფლებას აძლევს პსდ-ს ისარგებლოს მფლობელობაში არსებული ფართით და მ.შ. სველი წერტილებით, შესაბამისად, სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვას ხელშეკრულების მიხედვით უზრუნველყოფს დაწესებულება თამ მენეჯმენტის ადმინისტრაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**5.1.1.4.** დაწესებულება მდებარეობს საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზე, ანგარის შენობაში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემა ექსპერტთა მოთხოვნაზე, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით დირექტორმა მიგვანიშნა ელექტრო გამათბობელების არსებობაზე, რომელიც ვიზუალური დათვალიერებითაც დგინდება. მან დამატებით განმარტა, რომ ანგარის ტერიტორიაზე არსებული აალებადი ნივთიერებების არსებობის გამო ცენტრალური გათბობა შენობაში დაუშვებელია. თუმცა დოკუმენტურად ექსპერტებს არ მიეწოდათ შესაბამისი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი **შეფასდა ხარვეზად,** რადგან ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნით დაწესებულების შენობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობით მიუხედავად იმისა რომ დაწესებულებას აქვს დენის რადიატორები და ელექტროენერგიის გადახდის ქვითრებიც.

**5.1.1.5.** თამ მენეჯმენტის შენობაზე, რომელშიც არის განთავსებული შპს საქართველოს საავიაციო აკადემიის წარმოდგენილია 2017 წლის 10 აპრილის საქართველოს შსს, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის დადებითი დასკვნა სააგენტოს კორესპონდენციის სახით-№847328, ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე №191-ში შპს თამ მენეჯმენტის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ შენობა ნაგებობებში სახანძრო ტექნიკური შემოწმების შეფასების შედეგების შესახებ. დაწესებულებას ასევე ჰყავს საშტატო ნუსხით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და გაწერილი აქვს ასევე კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმები;

**5.1.1.6.** დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის, სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესების შესახებ, წესში აგრეთვე გაწერილია შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელი პირი/ები და დანართის სახით ახლავს მიღება-ჩაბარების და აღჭურვილობის მოთხოვნის ფორმები, რომლებსაც გამოიყენებს დაწესებულება ამ მიზნებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**5.1.1.7.** დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, თუმცა სასწავლო პროცესის არ არსებობის გამო რესურსების რეგულარი შეფასების და განვითარების რეალური შედეგები დაწესებულებას არ წარმოუდგენია;

**5.1.1.8.** კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში არ არის განთავსებული სველი წერტილები, თუმცა კოლეჯი მდებარეობს „თამ მენეჯმენტის"-სგან ნაქირავებ შენობაში, სადაც არის სველი წერტილები და იჯარის ხელშეკრულება მოიცავს შეთანხმებას კოლეჯის მიერ ანგარის ტერიტორიაზე არსებული სველი წერტილების შეუფერხებლად გამოყენების თაობაზე. ანგარში, რომელიც კოლეჯის ფართისგან მოშორებით მდებარეობს ცალ-ცალკეა განთავსებული ქალებისა და მამაკაცებისთვის სველი წერტილები გამოყოფილი ინდივიდუალური კაბინებით. დირექტორის განმარტებით, კოლეჯისთვის გამოყოფილია ორი კაბინა ქალების და ორი კაბინა მამაკაცებითვის. სანიტარული კვანძები მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით, აქვთ უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, საშრობი აპარატით, საპონი, ტუალეტის ქაღალდით და ხელმისაწვდომია პერსონალისთვის. ასევე ტუალეტის ტერიტორიაზე არის დამლაგებლოს ოთახი, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ წესრიგს. შშმ სტუდენტებისთვის სველი წერტილი არის ადაპტირებული.

**5.1.1.9.** ყველა სასწავლო ფართს, სადაც პროფესიულ სტუდენტს, მასწავლებელს და ადმინისტრაციულ პერსონალს მოუწევს მუშაობა და მ. შ. ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათება; დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ელექტროენერგიის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც.

**5.1.1.10**. სივრცეები თეორიული სწავლებისთვის, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი განლაგებულია შენობის პირველ სართულზე, იზოლირებული აუდიტორიების სახით. ადმინისტრაციული მიზნებისთვის ფართი მეორე სართულზეა განლაგებული. სასწავლო და ადმინისტრაციული მიზნებისთვის ფართის განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.1.11. დაწესებულების ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას ახორციელებს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სასწავლო რესურსი რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას აქვს გაფორმებული მემორანდუმი და სარგებლობს openbiblio-თი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ერთი პრინტერი ბიბლიოთეკარისთვის და სტუდენტთა მოხმარებისთვის 5 კომპიუტერი. ელექტრონული სახელმძღვანელოებით სარგებლობა საჭიროების შემთხვევაში შეუფერხებლად შეუძლიათ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით სახლის პირობებში სარგებლობისთვის სტუდენტზე სასწავლო მასალა მატერიალური სახით არ გაიცემა, რის შესახებაც გაიცა **ექსპერტთა რეკომენდაცია:** ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში უნდა გაკეთდეს სასწავლო მასალის მოხმარებასთან დაკავშირებით მკაფიო ჩანაწერი;

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „ კოლეჯი ხვალინდელი დღისთვის“ ს/კ 404506502 დამფუძნებლის გადაწყვეტილება 3-13.02.2017 წ.
- დამფუძნებლის მიერ სარგებლობაში გადაცემული ინვენტარის ჩამონათვალით;
- უძრავი ქონების შესახებ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებებით1;2;
- დამლაგებელთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით.

**5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.**

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**5.1.2.1.** შპს საქართველოს საავიაციო აკადემიის მიერ, შენობაზე, რომელშიც არის განთავსებული კოლეჯი, წარმოდგენილია 2017 წლის 10 აპრილის საქართველოს შსს, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კორესპონდენცია-№847328, ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე №191-ში შპს თამ მენეჯმენტის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ შენობა ნაგებობებში სახანძრო ტექნიკური შემოწმების შეფასების შედეგების შესახებ დადებითი დასკვნა. გარდა ამისა, დაწესებულებას ასევე გააჩნია 2017 წლის 24 მაისს, სსიპ ლევენ სამხარაულის სახელმწიფო საექსპორტო ბიუროს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დადებითი დასკვნა №002284417.

**5.1.2.2.** დაწესებულებას ცალკე გამოყოფილი ადგილი/ფართი პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის არ გააჩნია. საქმისწარმოების სპეციალისტისთვის გამოყოფილ ფართში არის განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის პირველადი დახმარების ინვენტარი, რომელსაც საჭიროების შეთხვევაში იყენებენ. ასევე სტრუქტურაში არის გათვალისწინებული ექთნის შტატი, მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც განსაზღვრულია, მის პირად საქმეში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 23 ივნისიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე. ექსპერტების მიერ შემოწმდა ასევე ექთნის პირადი საქმე, კვალიფიკაციის შესაბამისობა. პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის მიხედვით ექთანი ვალდებულია დარეკოს 112-ში და სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე პირს გაუწიოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პირველადი გადაუდებელი დახმარება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.2.3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი და მისი შემადგენლობა, ფუნქცია-მოვალეობები, შტაბის უფროსი, ევაკუაციაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ახორციელებენ საგანგებო სიტუაციების მართვას. აქვს გაწერილი COVID-19 სიტუაციებში პრევენციული ღონისძიებების გაწევის ინსტრუქტაჟი და წესები, ამ წესების შესრულებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ასევე ევალება ინსტრუქტაჟის ჩატარება ნებისმიერი პირისთვის. დაწესებულებაში არსებობს ინსტრუქტაჟის გაცნობის და ჩატარების ხელმოწერის ჟურნალი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ინფორმაციული სტიკერები და მანიშნებლები. ინსტრუქტაჟი ასევე გაწერილია სახანძრო და საგანგებო სიტუაციის მართვისთვის, რაზედაც გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი;

5.1.2.4. დაწესებულებაში წესრიგის დაცვაზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია დაცვის სპეციალისტი, რომელსაც სამუშაო აღწერილობის მიხედვით დაწესებულების მთელ პერიმეტრზე ევალება წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. დაწესებულების ცენტრალურ გარე შესასვლელი ტურნიკეტის გამოყენებით კონტროლდება, რაც გამორიცხავს შენობის შიდა პერიმეტრზე უცხო პირთა შესვლის საკითხს. გარდა ამისა, შენობა, რომელშიც აქვს კოლეჯს ნაქირავები ფართი გარე და შიდა პერიმეტრზე კონტროლდება ვიდეოგადაღების ფუნქციის მქონე კამერებით, მ.შ. კონტროლდება კოლეჯის შესასვლელი, მაგრამ კოლეჯის შიდა პერიმეტრზე კამერები არ ფიქსირდება; აქედან გამომდინარე ექპერტთა მიერ **დადგინდა ხარვეზი:** დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე ვერ უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შინაგანაწესით;
- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების დასკვნით;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით;
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების კამერების სისტემების შემოწმებით;
- სამედიცინო მედიკამენტებით;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ინსტრუქტაჟები;
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირთან;
- ვიზუალური დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით;

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ **არ შეესაბამება**

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**5.2.1.1**.დაწესებულებას გააჩნია IT ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეუფერხებელი საქმიანობისთვის როგორც სასწავლო ასევე ადმინისტრირების პროცესისთვის, IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას; ხელმისაწვდომია უკაბელო და კაბელიანი ინტერნეტი. ინტერნეტპროვაიდერთან დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება და ასევე წარმოადგინა ინტერნეტ მომსახურების გადახდის მტკიცებულება;

**5.2.1.2**.დაწესებულებას შემუშავებული აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ისეთ მიდგომებსა და მექანიზმებს, როგორიცაა: ინფორმაციული სისტემების, ვებგვერდის, ელფოსტის, სოციალური ქსელის, პერსონალის პირადი მეილჯგუფის, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის, ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების, ვიდეო მონიტორინგის სისტემის, კომპიუტერული ქსელის მართვის, ფიზიკური და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს.

**5.2.1.3**.დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, პერსონალის მართვის დოკუმენტში გაწერილი აქვს მექანიზმი პერსონალურ მონაცემთა შენახვასა და მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის სახით. პირად საქმეებში გადამოწმების შედეგად დადგინდა წერილობითი თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე კანონმდებლობის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**5.2.1.4**.დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაციები ითვალისწინებს რესურსების და პროცესების შეფასების ზოგად მექანიზმებს, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურის და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის შეფასებას. ექსპერტების მიერ კოლეჯის საჭიროებების შეფასების ან იდენტიფიცირების განხორციელების პროცესი **ვერ შეფასდა** სტუდენტების არ არსებობის გამო.

**5.2.1.5**.დაწესებულებას მექანიზმის დონეზე შემუშავებული აქვს ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მექანიზმი, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესში საჭირო მასალებისა და ნედლეულით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“, რომლის ერთერთი პუნქტის შესაბამისად სასწავლო მიზნებისთვის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესაძლებელია აღჭურვილობის მოთხოვნა. დაწესებულებაში ამ დრომდე არ განხორციელებულა სასწავლო პროცესი, შესაბამისად ექსპერტების მიერ **ვერ შეფასდა** სტუდენტებისთვის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მუდმივად ხელმისაწვდომობის განხორციელება. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შეუფერხებლად ხორციელდება IT ინფრასტრუქტურით მომსახურება. დაწესებულების მიერ IT ინფრასტრუქტურით შეუფერხებელი მომსახურება დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

**5.2.1.6**.დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალთან კომუნიკაციის მიზნით, ერთი დომეინით, ელფოსტის მისამართები( მეილჯგუფი) პერსონალის ინფორმირების მიზნით საქმისმწარმოებელმა ექსპერტის მოთხოვნაზე, ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმის გამოყენების დემონსტრირება მოახდინა, ვიზუალურად გვაჩვენა მეილჯგუფები, მათთან ხანგრძლივი მიმოწერა და უკუკავშირი, რომელიც რეალურად ხორციელდება დაწესებულებაში. სტუდენტებისთვის მომავალში ასევე იგეგმება ერთიანი მეილჯგუფების შექმნა მათთან ეფექტური კომუნიკაციისთვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ინტერნეტპროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დაწესებულების ადმინისტრაციის ერთიან ჯგუფში მიმოწერით;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტით;
- ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიურირებით;
- IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერებით;

**5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**5.2.2.1**.დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც კოლეჯში ხორციელდება საქმისწარმოება და აქტების გამოცემა და კორესპონდენციის აღრიცხვა. დოკუმენტაცია გატარებული შესაბამის ჟურნალებში, რომლებიც წარმოებს სათანადო წესით და მათი სანდოობა და და მთლიანობა დაცულია, დანომრილია, ბეჭედდასმული და აკინძული. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი პირი ხელშეკრულებით აყვანილი და სტრუქტურა ითვალისწინებს საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირს, შემუშავებულია ასევე მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა.

**5.2.2.2**.ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ დაადასტურა ელექტრონული საქმისწარმოების გამოყენება, თუმცა 2020 წლის 1 აპრილს შპს „კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის" გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №15 სუს სსიპ საქართველოს ოპერატიულ-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------- 
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ტექნიკურ სააგენტოსთან, დაწესებულების მიერ დოკუმნტბრუნვის ელექტრონული სისტემის ( eflow) განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, მიმწოდებლის სერვერზე განთავსება და მისი ადმინისტრაციული მომსახურების შესახებ. დაწესებულებამ მომსახურების ხელშეკრულებასთან ერთად წარმოადგინა გადახდის ქვითრები, თუმცა დაწესებულების მიერ არ ხორციელდება ელექტრონული საქმის წარმოება და ექსპერტების მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც **ხარვეზი.**

<u>5.2.2.3.</u> დაწესებულება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის შეტანას, ექსპერტთა მიერ ვიზუალურად იქნა დათვალიერებული ინფორმაციის მართვის საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების საკითხი.

<u>5.2.2.4</u>. პსდ-ს საქმისწარმოების წესის საფუძველზე განსაზღვრული აქვს დოკუმენტწარმოების პროცესი, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით დადასტურდა დროული რეაგირება შემოსულ კორესპონდენციაზე, რაც მიანიშნებს საქმისწარმოებით განსაზღვრული პირობების დაცვას. დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანამანათლებლო საქმიანობის კონტროლის განმახორციელებელ სუბიექტებთან კომუნიკაციის დადასტურების მიზნით, წარმოადგინა მიმოწერები ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, NAEC-თან, მართვის საინფორმაციო სისტემასთან.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქმისწარმოების წესი;
- მომსახურების ხელშეკრულებით ელექტრონული საქმისწარმოებასთან დაკავშირებით;
- ელსაქმისწარმოების ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების თანხის გადახდის ქვითრებით;
- მიმოწერის ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით საქმისმწარმოებელთან;
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციით;
- გაგზავნილი 2020 წლის თვითშეფასების ანგარიშით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.**

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

<u>5.2.3.1.</u> დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი- https://georgianaviationacademy.com/ და სოციალური ქსელი ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებენ ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, სტრუქტურის, პროგრამების, სამართლებრივი აქტების, სტრუქტურის, ავტორიზაციის გადაწყვეტილების, პარტნიორობის და თანამშრომლობის, დებულებათა კრებულის, წესდების შესახებ, ასევე განთავსებულია სამოქმედო გეგმების ანგარიშები, ელექტრონული სახელმძღვანელოები .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

**5.2.3.2**.კოლეჯი ახორციელებს ინგლისურენოვან პროგრამას და მის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის ელემენტები, შესაბამისად, დაწესებულებას აქვს ორენოვანი ვებგვერდი, ინგლისურ ენოვან ვებგვერდზე განლაგებულია იგივე ინფორმაცია ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს გონივრულ ვადაში ინფორმაციის ორ ენაზე მიღების შესაძლებლობა.

**5.2.3.3**.დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს ფორმებს და პროცედურებს საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებით. ამ მიზნით დაწესებულებას აქვს აუთსოსრსინგით გაფორმებული ხელშეკრულება PR მენეჯერთან, რომელიც ახორციელებს და პასუხიმგებელია საზოგადოებასთან კომუნიაკაციასა და ურთიერთობებზე შესაბამისი ფორმებითა და დადგენილი წესით. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დასტურდება დოკუმენტურადაც, არის უტყუარი და შეესაბამება დოკუმენტებში ასახულ ინფორმაციას.

**5.2.3.4**.დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პროგრამების შესახებ. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას და მოდულებს. ექპერტთა განმავითარებელი **რეკომენდაცი**ა: კატალოგი არის ფორმალური დოკუმენტი, რომელიც არ მტკიცდება, კატალოგში დაინტერესებული პირებისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდეს, როგორიცაა პროგრამის საფასური, დაწესებულების ისტორია, ძირითადი ფასეულობები და ღირებულებები. ასევე მნიშვნელოვანი პარტნიორი ორგანიზაციების ან პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები.

**5.2.3.5**.დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამებზე არ ქონია მიღება, არ ქონია პროგრამის ცვლილების ან კატალოგში ცვლილების განხორციელების რეალური შემთხვევა. აქედან გამომდინარე დაწესებულებას არ განუახლებია პროგრამების კატალოგი;

**5.2.3.6**.საზოგადოებასთან ურთიერთობა კოლეჯში ხორციელდება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით განსაზღვრული მექანიზმებით, დადგენილი ნორმებითა და სპეციალურად შერეული პირის მიერ. შესაბამისად, საზოგადოებასთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ურთიერთობისა და კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხებით მიღებული უკუკავშირის საფუძველზე საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მოქმედებები ჯერ არ განხორციელებულა რადგან არ ჰყავთ მოქმედი სტუდენტები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესით;
- დაწესებულების ორენოვანი ვებგვერდის დათვალიერების შედეგებით;
- სოციალური ქსელით;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- ვებგვერდზე განთავსებული კოლეჯის დოკუმენტაციით;
- მისიით, სტრუქტურით, პროგრამებით, ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაციით;

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ **არ შეესაბამება**

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.**

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

5.3.1.(1.2.3.4.) სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის რესურსებით უზრუნველყოფის გრაფაში ფინანსური უზრუნველყოფის წყარო არ არის მითითებული. დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი პსდს-საქმიანობის დაფინანსების წყარო. ექსპერტების მიერ ვერ შეფასდა რა ფინანსური რესურსით იქნება უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება. პსდ-ს მიერ აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის saras.gov.ge- პორტალზე განთავსებულია 2018-2019-2020 ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარმოდგენილია აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის შესახებ ინფორმაცია. 2021 წლის ფინანსური მდგომარეობა პსდ-ს მიერ არ არის წარმოდგენილი, ექსპერტების დირექტორთან გასაუბრების შედეგად სიტყვიერი ინფორმაციით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ექნებათ წლის ბოლოს. დაწესებულების მიერ ორი პროგრამისთვის წარმოდგენილი ერთი წლიური საპროგნოზო ბიუჯეტი, როემლშიც თანხები დათვლილია 30 სტუდენტზე, რენტაბელობის ზღვარი არის 27. დაწესებულების მიერ გასაუბრებაზე წარმოდგენილი პასუხისმგებელი პირის განმარტებით პროგრამის დაფინანსება პსდს-მიერ გაქირავებული ფართების ამონაგებიდან განხორციელდება. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია 208-2029-2020 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშები. ექსპერტების მიერ, პსდ-ში საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შეფასების და შედეგების საფუძველზე შემდგომი რეაგირების ღონისძიებების განხორციელება ვერ შეფასდა, რადგან არ არის მსგავსი აქტივობა ჩატარებული. შესაბამისად, ყოველწლიური ფინანსური ანგარიშისა და შედეგების საფუძველზე საკუთარი მდგრადობის ობიექტური შეფასება და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა, მათ განხორციელებაზე სათანადო რეაგირების ინდიკატორი **შეფასდა როგორც ხარვეზი.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საპროგნოზო ბიუჯეტით;
- პროგრამების ბიუჯეტით;
- დაფინანსების დინამიკის დოკუმენტით;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებით
- დაწესებულების ვებგვერდით;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშებით;
- ეკონომისტთან გასაუბრებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ **არ შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1) |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში / Higher Vocational Qualification in Aircraft Maintenance |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0716 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | ბრძანება N2 31.05.2018 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ინგლისური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. 191გ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 127.5 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 127.5 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | - | არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | - | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | - | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*შენიშვნა: გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებაში არ ამ დრომდე არ განხორციელებულა სასწავლო პროცესი, ექსპერტების მიერ 2.3 და 2.4 კომპონენტები ვერ შეფასდა.*

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

2.1.1.1. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პსდ-ს მისიას. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტს, რომელშიც განხილულია მხოლოდ საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (IATA) პროგნოზირებადი ანალიზი მგზავრთა ნაკადის გაზრდის შესახებ. აღსანიშნავია რომ, წარმოდგენილი დოკუმენტით არ იკვეთება კონკრეტულად საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტების მოთხოვნის შესახებ მონაცემები, ასევე აღსანიშნავია რომ არ იკვეთება ადგილობრივ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა ან/და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, შესაბამისად დაწესებულებას მიეცა **განმავითარებელი რეკომენდაცია** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასახული იყოს ადგილობრივ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა ან/და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

2.1.1. 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.1.1.3.** პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს კონტიგენტის განსზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ, თუმცა მასში დეტალურად არ არის გაწერილი თუ რა რაოდენობის, მატერიალური ტექნიკური რესურსი, ლაბორატორიული ბაზა, სასწავლო ლიტერატურა და საჰაერო ხომალდია საჭირო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიეცა **განმავითარებელი რეკომენდაცია** კონტიგენტის განსზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს თუ რა რაოდენობის, მატერიალური ტექნიკური რესურსი, ლაბორატორიული ბაზა, სასწავლო ლიტერატურა და საჰაერო ხომალდია საჭირო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით.

**2.1.1.4.** საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B1.1) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, მათ შორის სასწავლო რესურსი გაწერილია საგანმანთლებლო პროგრამასა და მოდულებში, თუმცა არის ზოგადი ხასიათის და არ არის დაკონკრეტებული სახელმძღვანელო. მოდულებში, დაწესებულების მიერ უახლეს ვერსიად მითითებული და წარმოდგენილი სახელმძღვანელოები არ წარმოადგენს უახლეს გამოცემას და ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული სასწავლო რესურსი ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **შეფასდა ხარვეზად.**

**2.1.1.5.** საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**2.1.1. 6**. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ 2018 წელს.

**2.1.1.7**. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს.

**2.1.1.8.** საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ დადგენილ მოთხოვნებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზანშეწონილობის დადასტურების დოკუმენტი;
- დირექტორის ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ **არ შეესაბამება**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.**

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.1**.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ მოდულებში გაწერილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსიდან, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მოდულების განხორციელების უზრუნველსაყოფად, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით საჭიროა დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისათვის მფლობელობაში ჰქონდეს: პროფესიულ სტუდენტთა მისაღებ რაოდენობაზე მორგებული მაგიდები და სკამები, სტანდარტული იარაღები (სახრახნისი, ქანჩ-გასაღები, მკვნეტარა, ბრტყელტუჩა, სალესი, მაკრატელი, დანა), საზომი ხელსაწყოები (სახაზავი, შტანგენ ფარგალი, მიკრომეტრი, კალიბრი), მოქლონების დასარტყმელი სამარჯვები, სარჩილავები, ბურღი, მანომეტრებისა და თერმომეტრების ელექტრული საზომი, საწვავის რაოდენობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

